წელიწადი 1-ლი | გაზ. ფასი 3 შაური. | ტელეფონი № 76. | კვირა ოქტომბრის 8—(21) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . . 1 თუმანი
ცალკე ნუმერი . . . . 3 შაური

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ლირს . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 144 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 144


გულდათუთქულნი: მამა კონსტანტინე სპირდონის ძე და დედა ნინა ლუკას ასული ქვარიანები, ბებია ივლიანა სიმონის ასული, ძმები: ლევან და დავით და დაი ელენა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გარდაცვალებას ქართული გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფის

**კოტიკოს (კოტესას).**

პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე ნაშუადღევის 5 საათზე, ქვარიანების ქუჩა, საკუთარი სახლი. დაკრძალვა სამშაბათს 10 ოქტომბერს ნაშუადღევის 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე.

---

ღრმათ დამწუხრებულნი ნინო ლორთქიფანიძისა, ვერა ნანეიშვილისა, ემილია ბაქრაძისა, პავლე ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ნანეიშვილი და ვლადიმერ ბაქრაძე ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ 5 ამა ოქტომბერს დილით გარდაიცვალა უსაყვარლესი და დაუვიწყარი მათი პირველნი სამისა ძმისწული და დანარჩენების ცოლის ძმის შვილი ქუთაისის ქართული გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე

**კონსტანტინე (კოტე) კონსტანტინეს ძე ქვარიანი.**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე, თავის საკუთარ სახლში ქვარიანების ქუჩაზედ. დაკრძალვა სამშაბათს 10 ოქტომბერს ნაშუადღევის 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე.

---

**პეტროგრადის** სამხედრო სამკურნალო აკადემიის **ქართველ სტუდენტთა სათვისტომო** ღრმა მწუხარებას უცხადებს მშობლებს, ნათესავებს და ამხანაგ-მეგობრებს პეტროგრადში ტრაღიკულათ გარდაცვლილ ხსენებულ აკადემიის სტუდენტის

**კალისტრატე (ჩოკო) პავლეს ძე ცკირიასას.**

---

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

---

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

---

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

---

## ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

---

## საჭიროა გაზეთის დამტარებლები

პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში. მისამართი: თბილისის ქ. ს. მიქელაძის სახლი.

---

## განცხადება.

**ქუთაისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, **საქმის წარმოება ქალაქის გამგეობასა და საბჭოში ქართულად უნდა სწარმოებდეს.** ამიტომ ყოველივე წერილობითი განცხადება, თხოვნა და სხ., რომელიც კერძო პირთ შემოაქვთ ქალაქის გამგეობაში, ქართულად უნდა იწერებოდეს; გამონაკლისი ხდება მხოლოდ რუსთათვის, რომელთაც ქართულად წერა არ იციან. ამგვარადვე ყველა დაწესებულებას ქალაქის გამგეობასთან-მიწერმოწერა ქართულად უნდა ექნეს, გარდა იმ დაწესებულებათა სადაც საქმის წარმოება რუსულ ენაზეა.

---

## ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან

### დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ დროებითი მთავრობის მიერ დამფუძნებელი კრების არჩევნები დანიშნულია 12 ნოემბერს 1917 წ. საარჩევნო სიების გამოქვეყნების დროთ დანიშნულია 8 ოკტომბერი ამა წლისა. ქალ. ქუთაისის მცხოვრებთა სიები უკვე შედგენილია. ამ სიებში, როგორც ქალაქის არჩევნებზე გამოირკვა, ბევრი ამრჩეველი გამოტოვებულია. არაა მათში შეტანილი აგრეთვე ის პირნი, რომელთაც 18 ივლისიდან ვიდრე ამა წლის 12 ნოემბრამდე შეუსრულდათ ან უსრულდებათ 20 წელი, და ის პირნი, რომლებიც ჩამოვიდენ ქუთაისში ამ სიების შედგენის შემდეგ. ე. ი. ამა წლის 18 ივლისის შემდეგ. ეხლა იმ პირებმა, რომელნიც შეცდომით გამოტოვებული არიან საარჩევნო სიებში ან და არ არიან შეტანილნი სიების შედგენის დროს, უნდა განაცხადონ ქალაქის გამგეობაში თავიანთ უფლებაზე, რათა შეტანილ იქნენ დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიაში, თან უნდა წარმოადგინონ მოწმობები თავიანთ წლოვანებაზე და რუსეთის ქვეშევრდომობაზე. ვინც არ განაცხადებს თავიანთ უფლებაზე დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის შესახებ რვა ოკტომბრამდე ამა წლისა და არ იქნება შეტანილი საარჩევნო სიაში, ის კარგავს უფლებას არჩევნებში მონაწილეობისას.

მოქალაქეთათვის საქმის გასაადვილებლად, სიების შესაკრებათ და შესასწორებლათ ქალაქის ქვემორე ჩამოთვლილ 3 ადგილას ქალაქის გამგეობა გზავნის სპეციალურ პირთ, რომლებიც იქნებიან იქ ნაშუადღევის ორი საათიდან საღამოს 9 საათამდი (ძველი დროით).

ეს ადგილები შემდეგია:

1) ცენტრალურ საარჩევნო ნაწილში—ქალაქის გამგეობის სადგომი,
2) სამთო საარჩევნო ნაწილში—რეალური სასწავლებლის სადგომი,
3) წყალგალმა საარჩევნო ნაწილში—ქართული გიმნაზიის სადგომი.

---

## ძმ. ურუშაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

ეს არის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

---

**ექიმი** ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე. იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

---

**ექიმი**

**გ. ი. გოქიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

---

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

---

## წინათ და ახლა.

წინათ განუსაზღვრელის იმედით შევყურებდით რუსეთის დემოკრატიას. ჩვენი მომავალი მას მივანდვეთ. გვწამდა, რომ მონობის განმცდელთ ყველაფერი მოგვენიჭებოდა თავისთავად.

სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახვა.

როდესაც რევოლუციურ რუსეთის დემოკრატია მთელი თავის ძლიერებით სათავეში უდგა რევოლუციას, არაფერი მოგვცა. ჩვენი ტკივილების გაგებაც არ მოისურვა.

დღეს დემოკრატია ძნელ კრიზისს განიცდის და თვითონ მისცემია უნუგეშობას.

რუსეთში ანარქიამ ამოხეთქა, სოფლებს და ქალაქებს ცეცხლი აქვს მოდებული.

რუსეთის პოლიტიკური მიმართულებანი ერთმანეთისადმი სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებენ. გამოჩენილი მოღვაწენი შავი ცრემლით აღნიშნავენ, რომ რევოლუცია დასამარებას ელის, სამშობლო განსაცდელშია, რუსეთი სამოქალაქო ომის წინაშე იმყოფება.

გვაღონებს ასეთი გარემოება, მაგრამ იმასაც ვიტყვით, რომ რუსეთის 70 მილიონიანი ერი არ გაჰქრება არც ერთ ბობოქრობის ალში. ორ მილიონ ქართულ ეროვნებისთვის საკმაოა ერთი განწირული თავდასხმა, რომ მთელი ერი განადგურდეს. ამისათვის ჩვენ ამ ჟამათ მომეტებულის ნების ყოფით და სურვილით უნდა შეუდგეთ საკუთარ თავის დაცვას. ის უფლებები, რომელსაც ჩვენ მოკლებული ვიყავით, რომელნიც ჩვენი ეროვნულ თვითმყოფელობისთვის აუცილებლობას წარმოადგენენ, დაუყონებლივ უნდა აღვიდგინოთ. უსამართლობას ვერვინ დაინახავს ამაში, რადგან ჩვენ მოვითხოვთ იმ თავისუფლების მინიჭებას, რომელი თავისუფლებაც ჩვენს ხალხს საუკუნოებით ჰქონდა განმტკიცებული და რუსეთის ტახტმა მოუსპო. საქართველოს ხალხის პოლიტიკურ უფლებებით აღჭურვის კითხვა დღეს პრაქტიკული განხორციელების კითხვათ უნდა დაისვას.

ყველაფერი ჩქარა უნდა შესრულდეს, თორემ ვინ იცის, როგორ საშინელებით შეიცვლება ხვალინდელი დღე. პირობები საქართველოში მომზადებულია. პრინციპიული ერთობა საქართველოს დემოკრატიის შორის უკვე წარმოიშვა.

ჩვენ გვაქვს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, სადაც ყველა იდეური მოპირდაპირენი შევიყრებით და საერთო მნიშვნელობის კითხვებს გავარჩევთ. აწ გვპირია, რომ აღიძრას რეალური საქმიანობა და ხალხის სურვილი განხორციელებას მიეცეს. საქართველოს შინაური თავისუფლება ცოცხალ ფაქტათ უნდა იქცეს; უამისოთ რევოლუციის ეროვნულ შემოქმედების გამოწვევა და საქართველოს ხალხის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

სამწუხაროა, როდესაც უგულოთ, უხალისოთ სწარმოებს ეროვნული აღმშენებლობა. კარგა ხანია, რაც მოგვივიდა ქართული ჯარის შედგენის ნებართვა, მაგრამ დღემდის საქმეს სათანადო წინსვლა არ ეტყობა.

ამავე მდგომარეობაშია სკოლის გაქართულება. ასეთი გზით სიარული ჩვენს თვითმკვლელობას მოასწავებს. გვინდა ინტენსიური შემოქმედებითი მოქმედება, რომ ჩვენი ცხოვრების ყველა ნაწილში შევიჭრათ და განვაახლოთ.

ლოდინი, სხვისი იმედი—უაზრობაა.

ერს საკუთარი ძალა უნდა, მას თავისი განსაკუთრებული პირობები აქვს და ეროვნულ თვითსახეობის შენარჩუნებით სცოცხლობს მაშინ, როდესაც ერის უფლებებსა და ინტერესებს მედგარი და თავგანწირული დამცველები ჰყავს.

შევიქნეთ ჩვენი ერის ინტერესების ერთგული მსახურნი დავიბრუნოთ უსამართლოთ წართმეული უფლებები. ეს არ მოხდა წინათ, მაგრამ უნდა მოხდეს ახლა.

ი. დ—ძე.

---

## ფიქრები... მწარე ფიქრები.

IV.

მე აღარ შევუდგები დაწვრილებით განხილვას დანარჩენ იმ მიზეზებისას, რომლებიც გუშინდელ წერილში მქონდა ჩამოთვლილი (იხ. „ჩვ. ქვეყ. № 143) წაქეზება ყოველგვარ გამოსვლისა „რევოლუციის გასაღრმავებლად“; მრავალტომობა ჯარისა; პროვოკაცია და ნერვოზი ბრბოისა“).

მკითხველი თვითონაც ადვილად წარმოიდგენს რამდენი უბედურების მოტანა შეუძლია წასისიანებას ერთის ჯგუფისას მეორეზე; იმავე მკითხველს თვითონაც შეუძლია გაითვალისწინოს რამდენად მავნებელია **პროვოკაცია**, ანუ მგლის ტყავში გახვეულ ნაძირალთა მოქმედება; გველებივით, რომ დაძვრებიან ხალხში — ადვილივე წარმოსადგენია ისიც, რომ ტამბოველ, თუ ცარიცინელ მუჟიკს სრულიადაც არ შესტკივა გული იმერელ ივანიკას, ან პეტრიკელას ქონებაზე და გააფთრებული არ დაინდობს არავის და არაფერს.

გარდა ამისა, ეს მიზეზები და მათი მავნებლობა, შეძლებისადაგვარად, მე უკვე გავაშუქე წინა წერილში (იხ. „ჩვ. ქვეყ. № 142) და აღარ მინდა თავი შევაწყინოთ...

არ შემიძლია მხოლოდ თქვენი ყურადღება არ მივაქციო შემდეგ გარემოებას.

ქუთაისის დარბევა, მე მგონია, ერთგვარი ცდა უნდა იყოს ანარქიის დასაწყებად თავისის მტკიცე და შეურყეველ რევოლუციონერობით განთქმულ საქართველოში. თუ ამ ცდამ კარგად ჩაუარათ დარბევის სულისჩამდგმელებს, თუ ეხლავე დაგვიბრიყვეს, დაგვიჯაბნეს საქართველოს მომავალ თავისუფლებით დღესვე გაბოროტებულებმა, მაშინ თავის ცდას საქართველოს სხვა დაბა-ქალაქებშიაც გადაიტანენ და თავის ქვენა გრძნობებს დაიკმაყოფილებენ. ამიტომ აუცილებლად საჭიროა მთელი რევოლუციონური საქართველო ფეხზე დადგეს, ყველა პარტიამ ხელი-ხელს მივცეთ, ყველა ქართველმა ჯგუფმა დაივიწყოს პირადი საქმე და ჩვენი სამშობლოის დასახსნელად სათავეშივე ჩავკლათ ყოველივე გამოსვლა ბნელის ძალებისა ჩვენში ცეცხლითა და მახვილით თარეშობისათვის.

დაე ახლავე იგრძნონ ამ ავმა და შავმა მტრებმა თავისუფლებისამ, რომ თუ რამდენიმე ქართველ კაცს (კაკი, კარლო) ძალ-უძს იქ, შორეულ პეტროგრადში, გამკლავება და დამხობა კონტრ-რევოლუციონერებისა, აქ, ჩვენს ტურფა საქართველოში, შეერთებული ქართველობა ნებას არავის მისცემს სისხლითა და ცრემლით მოპოვებულ თავისუფლების დალუპვისას!...

ჩვენს **ერთობაშია** ჩვენი ხსნა და ესევე ერთობა მოგვანიჭებს ძალას თავის დასაცავად!

ვისაცა აქვს ყურნი სმენად, ისმინოს!...

აქ შეიძლებოდა წერტილის დასმა, მაგრამ გული არ მითმენს და მინდა აღვნიშნო ერთი საშუალებათაგანი საქართველოში **ერთობის** ჩამოსაგდებად. ეს საშუალება არის ქართველ **ხალხთან დაახლოვება** არა ჩვენი პარტიული მიზნებისათვის, არამედ თვით ხალხის **ნდობის** მოსაპოვებლად.

მართალია ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა (თითქმის 95 პროც.) უკმეხია, უანბანოა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ იგი განუვითარებელიც იყოს, ვერ ვიტყვი იმიტომ რომ ჩვენ ხალხს აქვს თავისი ისტორიული განვითარება ბევრად უფრო ძლიერი და საბუთიანი, ვიდრე ჩვენ მიერ სკოლაში მიღებული განვითარებაა.

მართალია ხალხი ჩვენსავით წიგნებს არა კითხულობს მაგრამ, სამაგიეროდ ხალხშია სიცოცხლე, ხალხშია ძალა, ხალხშია მომავალი. რას წარმოვადგენთ ჩვენ უხალხოდ? -არაფერს!

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გადავუშალოთ ხალხს მაგალითები ევროპის და რუსეთის ცხოვრებისა, მათი გაცრუებული იმედებისა; ჩვენ შეგვიძლია ჩამოვუთვალოთ და დავულაგოთ ფაქტები, ჩვენ შეგვიძლია შევიტანოთ ხალხში ნათელი აზრი და მკაფიო გამოთქმა.

ვიცით რა ისტორია და განსწავლულნი ვართ რა სხვა ქვეყნების გამოცდილებით, ჩვენ შეგვიძლია დავიფაროთ ხალხი სიყალბე-მოტყუებისგან და მოვეხმაროთ საკუთარი ნებისყოფის გამოჩინებაში. აი რა შეგვიძლია ხალხისთვის! ჩვენ მივუტანთ მას ყალიბს, ფორმას ცხოვრებისას, ის კი მოგვცემს ჩვენ სიცოცხლეს.

საკითხი ჩვენი ხალხთან დაახლოვების ხალხისათვის კი არა, ჩვენთვისვე, ჩვენივე მოღვაწეობისათვის არის სიკვდილ—სიცოცხლის საკითხი. ეს დაახლოვება აუცილებელია მაგრამ ძნელიც არის, მარტო გამოლაპა რაკება და დაპირებანი როდი კმარა. საჭიროა რომ გონება ჩვენი მისწვდეს ხალხის გონებას და ჩვენმა გულმა ისევე იძგეროს, როგორც სძგერს დიადი მაგრამ ჩვენთვის ჯერ უცნობი გული ხალხისა! ჩვენ უნდა ვისახავდეთ ხალხს არა საშუალებად, არამედ მიზნად. ჩვენ უნდა ვუყურებდეთ ხალხს არა როგორც მასალას რევოლუციისას ჩვენის იდეების მიხედვით, არამედ ჩვენ უნდა ვუყურებდეთ ხალხს, როგორაც ჩვენი დიადი საქმის თანამშრომელს. ერთის სიტყვით, ჩვენ უნდა გვიყვარდეს ხალხი უაღრესს ჩვენის თავისა, რათა იმანაც შეგვიყვაროს, გვენდოს, გადაგვიხსნას თავისი მკვნესარე გული და შიგ ჩაგვახედოს.

ასე ლაღადებდა უაღრესი რევოლუციონერი მიხეილ ბაკუნინი ოთხმოციან წლებში (იხ. თხზულებანი მ. ბაკუნინისა ტ. 1. გვ. 226—7) და ესევე უნდა ვიქადაგოთ ჩვენც დღეის შემდეგ მაინც, თუ აქამდე ჩვენი ძალღონე მხოლოდ ხალხის ქართველი ხალხის გათიშვასა და გათავ-თავებას მოვანდომეთ...

ვიმეორებ, ჩვენი ხსნა ქართველი ხალხის **ერთობაშია**. უამისოდ თითოეულ ჯგუფს ქართველობისას ისე დაგვამტვრევენ, როგორც დაამტვრევენ ხოლმე დაშლილი კონის კიწოწებს...

ვერა ხედავთ ახლაც-კი როგორ ამუჩად გვიდგებენ რუსეთის რევოლუციისათვის თავდადებულებს?

**ია ეკალაძე.**

## დღევანდელი ვითარება.

რუსეთის პოლიტიკურმა ცამ სახე იცვალა. დღემდის რევოლუციას პატრონობდენ და მიუძღოდენ სოც. დემ. მეუმცირესენი და სოციალისტ რევოლუციონერები. მათი მოღვაწეობის ხანა „გამოურკვევლობით" და კოალიციის შექმნისთვის ბრძოლით აღინიშნა. სოც. დე—ბი და სოც. რ—ბი ადრევე გრძნობდენ, რომ რევოლუციის კეთილ სასურველათ დაგვირგვინება ერთფეროვან მმართველობას არ შეეძლო, ინსტინქტიურათ სჭვრეტდენ იმ უბედურებას, რომლის წინაშეც უკიდურეს ქადაგით რუსეთი წარსდგა. ყოველთვის შიშობდენ ამა, თუ იმ ნაბიჯის გადადგმას და ადვილათ თანხმდებოდენ ცენზიან ელემენტებთან კომპრომისს. მეუმცირესე სოციალ-დე—ბი.

სცდილობდენ უკუღმა დატრიალებულ სახელმწიფოს ბორბლის წაღმა მიბრუნებას. მათ სწამდათ ცენზიან ელემენტებთან მორიგების შესაძლებლობა. ამიტომ იყო, რომ წერეთელმა მხურვალეთ ჩამოართვა ხელი ბურჟუა ბუბლიკოვს და კერენსკიმ ბრძოლის ველზე სიკვდილით დასჯა დაადასტურა. ასე ეძებდა სამშობლოს გულშემატკივარი კერენსკი შინაურ სიმაგრეს და თავის პარტიულ პროგრამის გავრცელებას უარყოფდა. მაგრამ ცხოვრება თვითონ გამოვიდა მასწავლებლათ. კერენსკი ეძიებდა ძალთა მოკრებას და საერთო თანამშრომლობას და ამ თანამშრომლობას პირველი თვითონ არღვევდა. არა რუს, ძველი რეჟიმისგან გაწამებულ, ერებს კერენსკი ელემენტარ თავისუფლებას არ ანიჭებდა და ვინც აქტიურად გამომჟღავნებდა ეროვნული მისწრაფებას, მას ზარბაზნებით ემუქრებოდა. ამით ქარწყლდებოდა რევოლუციის მიერ წამოყენებული ლოზუნგი ერთა თავისუფალ თვით გამორკვევისა და რევოლუცია უკან იხევდა. ერები უნდობლათ ეწყობოდენ რუსეთის დემოკრატიის მიმართ. ერებს თუ არაფერი სწამდათ იმპერიალისტ კადეტ მილიუკოვისა, სამწუხაროთ ვერაფერ ნუგეშს ხედავდენ მემარცხენე ნამდვილ დემოკრატიაშიც. ამის გამო რევოლუციამ ეროვნული შემოქმედება ვერ წარმოშვა. მარტო რუსები კი რევოლუციას ვერ მოუვლიდენ. ხალხში, შეუგნებელ მასაში გადასროლილი ლოზუნგები აქტიურ სახეს იღებდა. „მიწა და თავისუფლება"-მ ააჯანყა რუსეთის გლეხობა და ახლა ყველაფერს ცეცხლს უკიდებს. იწვის ქირნახული, ბაღები, ტყეები და შენობები. ქალაქში შრომისა და კაპიტალის უთანხმოებამ მდუღარე დაასხა ყველაფერს.

ელვის სისწრაფით მოედო ყველგან გაფიცვა, და განუვითარებელი წარმოება თვენახევრის განმავლობაში შეჩერდა, რამაც ხაზინაში ფულის შეტანა შესწყვიტა.

სკობელევი, რომელიც წინათ ვაჭარმრეწველთა დასატუქსავათ ეძახოდა მასას, ახლა მუშებს ზომიერებისკენ მოუწოდებდა მაგრამ გვიან იყო. რუსეთში უიმედობა ისადგურებდა, ჯარის ანარქია ყველაფერს აჭარბებდა.

კერენსკიმ სევდის გასაფანტავად ივნისის 18-ს შეტევა დაიწყო, რომელსაც მთელი რიგი კატასტროფებისა მოყვა: ტარნოპოლის გარღვევა და რიგის დაკარგვა. შინაური ანარქია არ სცხრებოდა. მეუმრავლესენი ჯარში და ხალხში აგიტაციას განაგრძობდენ. კერენსკიმ გამბეტობა იკისრა, კორნილოვის გამოსვლის დროს დირექტორია შეადგინა, რესპუბლიკა გამოაცხადა, მაგრამ კრიზისს მაინც არაფერი ეშველა. დირექტორია მალე გაუქმდა. განკითხვის პესიმისტური დღეები ისევ დადგა. დემოკრატიული თათბირი მოიწვიეს და ამ დემოკრატიულ თათბირზე, როგორც ეს ქართველ სოციალ დემოკრატიის პელადმა აღნიშნა, ცენზიანმა და კადეტების რუსეთმა გაიმარჯვა. იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ამ ხანათ დრო სწყალობს ცენზიან ელემენტებს-კადეტებს და მეუმრავლესეთ. მოსალოდნელია, რომ რევოლუციის ასპარეზზე ხვალ მხოლოთ ეს ორი ძალა გამოჩნდეს. დემოკრატიულმა თათბირმა შექმნა რესპუბლიკის საბჭო. როდესაც მუხლობრივ განიხილავთ ხსენებულ საბჭოს დებულებათ აშკარათ დარწმუნდებით, რომ საბჭო არავითარ თვალსაჩინო ძალა-უფლებით არარის აღჭურვილი. საბჭოს აქვს წინასწარ თათბირის უფლება და სხვა არაფერი. ცხადია გზა აბნეულობის დროს კაცი სხვადასხვა საშუალებათ მიმართავს. ამითვე უნდა აიხსნას საბჭოს შედგენა, თორემ მას რომ არავითარი რეალი მნიშვნელობა, რომ არა აქვს ამაში პეტრეს ქალაქშიც დარწმუნებული იქნებიან. დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ საბჭოში 120 ცენზიანი ელემენტი შევიდა. აქედან ცენზიან ელემენტებს ბრძოლაც შეუძლიათ გამოუცხადონ მოპირდაპირეთ. კოალიციის პრინციპი დემოკრატიულ თათბირზე მიიღეს მეტად უმნიშვნელო ხმის უმეტესობით, რისგამო კოალიცის გამარჯვებულათ არავინ სთვლის.

კითხვა ისმება: საით მიექანება ახლა რუსეთი? როგორც ვსთქვით, დღის სამოქმედო ასპარეზზე ელიან მეუმრავლესეთ და კადეტებს. ოქტომბრის 20-ს პეტრეს ქალაქში მეუმრავლესენი გამოსვლას აწყობენ სადაც რესპუბლიკის საბჭოს ბედსაც გადასწყვეტენ. რაც შეეხება აწინდელ მდგომარეობას, იგი უაღრესათ უნუგეშოა და საშიში. „პოგრომები" საყოველთაო ხასიათს ღებულობენ. დაიწყეს ებრაელთა სისტემატიური დევნა-აწიოკება. რუსეთის მშრომელი ხალხი ბრბოთ იქცა და რეაქციულ ინსტინქტს ამჟღავნებს. სამხედრო ფრონტზე კი მარცხი გრძელდება. გერმანელებმა კუნძული ეზელი აიღეს და პეტრეს ქალაქისკენ გზას იკაფავენ. რევოლუცია მწარე განცდაშია. ლაპარაკობენ, რომ რუსეთი საქალაქო ომის წინაშე სდგასო.

ასეთია დღევანდელი ვითარება.

**ირ-დი.**

## დამფუძნებელ კრების არჩევნები.

გაზეთი „რუსკია ვედომოსტი" დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ შემდეგს სწერს: „დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულებანი უკვე შედგენილია და უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებულია. ახლოვდება დღე, რომელსაც უნდა მოხდეს არჩევნები,—12 ნოემბერი, ამასთანავე ერთათ თვალწინ გვეშლება სრული პერსპექტივა, რომელიღაც შესაძლებელი ხდება ხელ ახალი გადადება არჩევნებისა ტეხნიკური მოსაზრებით. მუხლი 31 არჩევნების დებულებისა თხოულობს, რომ ამრჩეველთა სია გამოქვეყნებულ იქნეს 40 დღით წინათ არჩევნებისა. მაშ თუ კი არჩევნები 12 ნოემბრისთვის არის დანიშნული სიები 3 ოქტომბერს უნდა გამოქვეყნებულიყო. ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილებული ვერ იქნება, რადგან სიების შედგენის მუშაობას ზოგან ეხლა იწყებენ და მხოლოდ რამოდენიმე ადგილას თუ შესძლებენ 3 ოქტომბრისთვის სიების გამოქვეყნებას. ამის გამო მთავრობას მოუხდება ორ თანაბრათ უსიამოვნო მოვლენიდან ერთი აირჩიოს; ან კიდევ გადასდოს არჩევნები, რასაც მთავრობის მოწინააღმდეგენი თავისდა საზარალო მოვლენად ჩასთვლიან, ან და შეამოკლოს 31 მუხლში ნათქვამი 40 დღე. თუმც ძლიერ სამძიმოა პირველი შესაძლებლობა, მაგრამ მთავრობას მისი არჩევა მოუხდება, და არა 31 მუხლში ნაჩვენები 40 დღის შემოკლება, რადგანაც ეს დრო ისედაც მინიმალურია და არა მაქსიმალური, და პრაქტიკაში ისედაც მოკლე გამოდგება სიების შესასწორებლათ განსასაჩივრებლად და გადისათვალიერებლათ. რა საკვირველია, დროს შემოკლება შესაძლებელია, მაგრამ ეს იქნებოდა ეხლათ გამოცემული კანონების დარღვევა. ამასთანავე დროს შემოკლებით ამრჩევლების ინტერესები შეილახება და არჩევის სიმართლეც დაშავდება. უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ის, რომ სიების გამოქვეყნება 3 ოქტომბერს მხოლოთ ორი სამი დღით კი არ გადაიცილებს, არამედ უფრო დიდი ხნით და ამიტომ გადადება არჩევნებისა მიუცილებელია.

მოულოდნელათ აღმოჩნდა კიდევ მეორე ვიწრო ტეხნიკური წინააღმდეგობა არჩევნების თავის დროზე მოხდენისთვის-ქაღალდისა და კონვერტებისა სიმცირე-ბიულეტენებისთვის. გასავალი ქაღალდისა არჩევნებისთვის ძლიერ დიდი იქნება და ქაღალდის ფაბრიკები კი ძლიერ სუსტათ მუშაობენ, და ბევრი მათგანი ამ ბოლო დროს იფიცება. ამის გამო დიდად საეჭვოა, რომ ფაბრიკებმა თავის დროზე დაამზადოს შეკვეთილი ქაღალდ-კონვერტები, ურომლისოდაც არჩევნები ვერ მოხდება. ეს გადაღობება არც ისე მცირე მნიშვნელოვანია და თავიდან ადვილი ასაცდენია როგორაც ბევრს ეჩვენება და სრულიათ სამართლიანათ მიმართა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების მომხვარებელმა კომისიამ სპეციალურ მოწოდებით ქაღალდის ქარხნებში მომუშავეთ. ყოველივე ეს იმის მომასწავებელია, რომ არჩევნები ხელ ახლათ იქნება გადადებული. ამიტომ საჭიროა ბეჭვდითმა ორგანოებმა ეხლავე გამოარკვიონ ეს კითხვა, რომ არჩევნების გადადება საზოგადოებისათვის მოულოდნელი და უსაფუძვლო არ დარჩეს. საჭირო არის, რომ ნათელი იყოს ყველასათვის ტეხნიკური შეუძლებლობა არჩევნების მოხდენისა დანიშნულ დროს, რადგან მხოლოთ ამ შემთხვევაში შეხვდება საზოგადოება არჩევნების გადადებას სიმშვიდით.

## ქუთაისის

### საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტი.

5-ს ოქტომბერს ნაშუადღევის 4-ს საათზე მოხდა პირველი საზოგადო კრება ქუთაისის საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტისა. ამ კომიტეტში შედიან: ექვსი წევრი ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტისა (გრ. ურატაძე, გრ. გველესიანი, გრ. ბარათაშვილი, ი. გობეჩია, ვ. კანდელაკი და ნ. სოკოლოვსკი), ორორი წარმომადგენელი თითოეული მაზრიდან (სამაზრო კომიტეტიდან), თითო წარმომადგენელი მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოთაგან, ქალაქის თვითმართველობიდან, ერთი ოლქის სასამართლოს წევრი და სამიწადმოქმედო სამინისტროს წარმომადგენელი.

პრეზიდიუმი შესდგება ოთხი წევრისაგან, რომელთაც ირჩევს საზოგადო კრება. ეს არჩევნებიც მოხდა იმავე დღეს. აირჩიეს ვლ. ქუთათელაძე, ი. გობეჩია, ვ. კანდელაკი და გრ. გველესიანი. ამათ უნდა აირჩიონ კომიტეტის მდივანი და გამონახონ ბინა კანცელარიისათვის.

ამ კომიტეტს დროებითი მთავრობის ინსტრუქციის ძალით ეკისრება დიდი და საპასუხისმგებლო მუშაობა. კომიტეტის კომპეტენციას შეადგენს: 1) თვალყურის დევნა სახელმწიფო მიწების მართვისა; 2) თვალყურის დევნა მადნეულობით, ტყით და სათევზაოთი წესიერათ სარგებლობისა 3) მასალების შეკრება მიწის სარგებლობა-მფლობელობის შესახებ; 4) შემუშავება სავალდებულო დადგენილებისა, რომლითაც განსაზღვრულ იქნება მიწის მუშათა და მის პატრონთა შორის განწყობილება ღალის რაოდენობისა და მიწის მუშათა ქირის გამორკვევა; 5) მომრიგებელი კამერის ორგანიზაცია, რომელიც განავებს და გადაწყვეტს ყოველ დავას და გამოარკვევს გაუგებრობას მიწის მუშათა და მიწის პატრონთა შორის და 6) ზედამხედველობა სამაზრო კომიტეტების მოქმედებისა.

მთელ გუბერნიაში მოქმედობენ სარაიონო, სამაზრო და საგუბერნიო კომიტეტები, დადგენილება სარაიონო კომიტეტების გასაჩივრდება სამაზრო კომიტეტში და ამ უკანასკნელის კი საგუბერნიო კომიტეტში. არის კიდევ უმაღლესი ინსტანციაც.

როგორც ხედავთ დიდია ვალდებულება ამ კომიტეტისა და ვისურვებთ, მისი ღვაწლიც ნაყოფიერი ყოფილიყოს.

სხვა რომ არა ვთქვათ რა,—მარტო ნამუშევარის განაწილების მოწესრიგება მიწის მუშათა და მეპატრონეთა შორის დიდი სიკეთე—იქნება, რადგან ეს არის მიზეზი მათ შორის გამწვავებულ განწყობილებისა. მოღვაწეობა მომრიგებელ კამერისა მიზნად ისახავს მათ შორის შეთანხმებულ ცხოვრების მოგვარებას, რაც მეტათ სასურველია. ამ ნიადაგზე უთანხმოების გამო ჩვენს გუბერნიაში აქა იქ უკვე იჩინა თავი ექსცესებმა. ამ კამერებს უფლება აქვთ სხვათა შორის, იმ შემთხვევაში, თუ მხარეების შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, გადასცეს საქმე მხარეებისაგან არჩეულ პირთ (მედიატორეთ). მათი განაჩენი ძალაში შედის, არსად განსაჩივრდება, მხარებისათვის სავალდებულოა და დაუყონებლივ სისრულეში მოყავს, თუ საჭირო იქნა ადგილობრივ კომისარის განკარგულებით მილიციონერებს.

საადგილ მამულო კომიტეტებს, როგორც ზევით ვთქვით, ევალება ტყეების დაცვა აჩეხისა და განადგურებისაგან, თუ კომიტეტმა დაინახა, რომ სახელმწიფო ტყეები წესიერად არ არის დაცული, თავისი მხრით ნიშნავს კიდევ ტყის მცველებს. კერძო მესაკუთრეებს არა აქვთ ნება ტყე აჩეხონ, ან ურიგოთ მოსჭრან იმაზე მეტი, რაც მათ საჭიროებას შეადგენს. კომიტეტი ვერ გაერევა მხოლოდ იმ ტყის მრეწველთა მოქმედებაში, რომელნიც ტყეს სჭრიან რკინის გზის საჭიროებისა, ან სამხედრო უწყებისათვის.

დიდ მნიშვნელოვან ფუნქციას ამ კომიტეტტისას შეადგენს აგრეთვე უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის საკითხი. როგორც უკვე ვიცით, დროებითი მთავრობისაგან უძრავი მამულის ყიდვა-გაყიდვის უფლება შეზღუდულია და არა აკრძალული. მთავრობის დადგენილებით ყიდვა გაყიდვა უძრავი მამულისა შეიძლება საადგილმამულო კომიტეტის ნებართვით. აი აქაც დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა უმართებს კომიტეტს სამართლიანობის დაცვისათვის.

სამწუხაროა, რომ ამ კომიტეტების ორგანიზაცია ჩვენში მეტად დაგვიანდა. გაიგო თუ არა ხალხმა კომიტეტი არსდება, დაარსებამდის მიმართა თხოვნებით. ურიცხვი თხოვნაა გასარჩევი და სასწრაფოდ განაჩენის გამოტანა მეტათ საჭირო. გარდა ამისა პურის მოსავლის განაწილებამ მუშათა და მემამულეთა შორის ზემო-იმერეთში მწვავე უთანხმოება გამოიწვია, რასაც ზოგან პურის ძნის დაწვაც კი მოჰყვა. სიმინდის შემოტანა ახლა არის დაწყებული და, თუ დროზე მოესწრო, მომრიგებელი კამერა ბევრს სიმწვავეს და სიმწარეს აგვაშორებს.

საგუბერნიო კომიტეტის მოქმედება გაჩაღდება სამიწადმოქმედო სამინისტროს რწმუნებულების მოსვლისათანავე, რომელიც ჯერ კიდევ გზაშია.

პრეზიდიუმის წევრებს ექნებათ მუდმივი და მწყობრი სამუშავერი. ამიტომ კანონის ძალით უზრუნველ-ყოფილ იქნებიან ჯამაგირით.

დასასრულ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქმის წარმოება ქართულ ენაზე იქნება მოწყობილი.

**გრ. ბარათაშვილი.**

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დეპეშები.

**როჟდესტვენსკი.**

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 3. ოკტომბრისთვის 3-ს გარდაიცვალა პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი (საღვთისმეტყველო კათედრა ეკავა) დეკანოზი როჟდენსტვენსკი.

**კარტოფილი.**

**პეტროგრადი.** ოკტომბრისთვის 4, სასურსათო მინისტრმა კართოფილზე მოსკოვისთვის 3 მან. 30 კ. დააწესა ფუთზე სხვა გუბერნიებისთვის კი 1 მ. 90 კაპ.

**დეპუტატთა საბჭო და ანარქია.**

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 4. დეპუტატთა საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა დარბევების შესახებ რეზოლუცია გამოიტანა, რომელშიაც წინადადება ეძლევა პროვინციის საბჭოებს ენერგიული ზომები მიიღონ დარბევების წინააღმდეგ, ვინაიდან მათ სახელ-

მწიფო ანარქიისაკენ მიჰყავთ. ყოველივე დარბევა დასაწყისშივე უნდა მოისპოს შეიარაღებული ძალის მოხმარებითაც. დარბევის აგიტაციასთან იდეურ ბრძოლის საწარმოვებლად მცხოვრებთა დასაცავად რეზოლუცია წინადადებას იძლევა დაარსდეს საგანგებო კომისიები, რომლებშიაც წევრებად შევლენ სამხედრო და სამოქალაქო მთავრობის წარმომადგენლები,

**აგრარული უწესოება.**

**მოსკოვი.** ოკტომბრის 3. შტაბის პოლიტიკური განყოფილებას რიაზანის გუბერნიიდან საადგილო უწესოების შესახებ შემაძრწუნებელი ცნობები მოსდის. რანენბურგის მაზრის კომისარი იუწყება: ბრბო ღვინის საწყობის განადგურებას ცდილობს უწესოების ჩასაქრობად გაგზავნილი რაზმი ოკტომრის 2-ს მივიდა.

**უსურსათობის გამო.**

**მოსკოვი.** ოკტომბრისთვის 3. კლინიდან იტყობინებიან: სასურსათო კრიზისის ნიადაგზე მოქალაქეებმა სასურსათო გამგეობის და ადგილობრივ კოოპერატივის თავმჯდომარე შეიპყრესო,

**ტუსაღების გაქცევა.**

**სარატოვი.** ოკტომბრ. 3. ციხიდან გაქცეულ ტუსაღთა ერთი ნაწილი ისევ დაიჭირეს. მოკლულია ერთი ტუსაღი და შემთხვევით ერთი დედაკაცი. 2 ტუსაღი მძიმედაა დაჭრილი.

**გლეხთა კანდიდატების სიები.**

**პეტროგრადში.** ოკტომბრისთვის 3. სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის მთავარი კომიტეტი თავის წევრებს ცალკე კანდიდატთა სიებს შესადგენად მოუწოდებს. ცალკე სიების შეადგენენ იქ სადაც მათ კავშირის საგუბერნიო და სამაზრო ორგანიზაციები არსებობენ. დანარჩენ ადგილებში მოწოდების თანახმად, გლეხები კოოპერატივებთან და სოციალისტურ პარტიებთან გამოვლენ.

**საარჩევნო კომპანია.**

**პეტროგრადი.** ოკტომბრ. 4. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს დამფუძნებელ კრების საარჩევნო კამპანიის შესახებ მისდის ცნობები. ვენდენში საკუთარ სიებით გამოდიან ლატიშელთა სოციალდემოკრატები (ბოლშევიკები) და გლეხთა კავშირი. ვიტებსკის გუბერნიაში პარტიების გარდა საკუთარ სიით სამღვდელოება გამოდის. ვიატკას გუბერნიაში ბლოკით შეიკვრნენ გლეხები და სოციალისტ-რევოლუციონერები და მერის მხრივ უკრაინელები, მაჰმადიანები, პოლონელები, ლატიშები და ლიტოველები. ეკატერინბურგში ოკტომბრის 4-სათვის მოწვეულია საგუბერნიო ყრილობა ყველა წოდების სტაროობრიადელებისა. განზრახული აქვთ საერთო სიის შედგენა. კურსის გუბერნიაში გლეხები ბლოკით შეეკვრენ სოციალისტ-რევოლუციონერებს. იმედი აქვთ რომ 13 ადგილიდან ათი მათ დარჩებათ კანდიდატებში რუსანოვიც არის; ბოლშევიკებს იმედი აქვთ, ერთს გაიყვანენ. მოგილევის გუბერნიაში—სოციალ-დემოკრატების და ბუნდის ბლოკმა სიაში პირველად რესპუბლიკის საბჭოს წევრი გოლდმანი (ლიბერი) მოათავსა. ნიჟეგოროდის გუბერნიაში სოციალისტ-რევოლუციონერები და გლეხები ერთად გამოდიან. კადეტებმა მოწოდებით მიმართეს გლეხებს, ბევრ ადგილს ჰპირდებიან. სოციალ-დემოკრატებმა კანდიდატები უკვე დაასახელეს. სამღვდელოება და მრევლის ერთი წრე საკუთარ სიებს ადგენს. პომოშჩიკები, ბელოკრინიცკები და სპასოვცები საკუთარ სიებით გამოდიან. ზოგან გლეხები კარგის თვალით არ უყურებენ არჩევნებს. პერმის გუბ. მიწის მესაკუთრეთა ყრილობამ კადეტებთან გამოსვლა გადასწყვიტა.

შესდგა რადიკალ-დემოკრატიულ პარტიის განყოფილება და საკუთარ სიას ადგენენ. პსკოვში სოციალისტ-რევოლუციონერთა სამხედრო კონფერენციამ დაადგინა ბლოკით არვის შეკრას. სარატოვის გუბერნიაში სოციალისტ-რევოლუციონერები ჩერნოვსა და რაკიტნიკოვს ასახელებენ. „ედინსტვო“ ბლოკით ეკრება მენშევიკებს და ხალხის თავისუფლების პარტიას. თავრიდას გუბერნიაში კადეტები ასახელებენ: პეტრუნკევიჩს, პირველ სათათბიროს წევრს ობოლენსკის სოციალ-დემოკრატებს გაჰყავთ წერეთელი და მარტოვი. ცარიცინში გლეხთა ყრილობამ ორი სოციალისტ-რევოლუციონერი დაასახელა. ხერსონის საგუბერნიო ყრილობაზე სოციალ-დემოკრატები უკრაინის სოციალისტ-რევოლუციონერებსა და ებრაელთა სოციალისტურ პარტიასთან შეთანხმდნენ.

კანდიდატთა რიცხვში მოჰხვდნენ სპირიდონოვი, იურიცინი და რამდენიმე მუშა. კოოპერატივების პოზიციის შესახებ იტყობინებიან: ვიატკის გუბერნიაში ვადასწყვიტეს მოსკოვის ყრილობაზე გარდაწყვეტილებას დაუჭირონ მხარი, ნიჟეგოროდის გუბერნიაში დამოუკიდებლივ გამოდიან. სარატოვის გუბერნიაში წინაამდეგი არიან დამოუკიდებელ გამოსვლაზე. ხარკოვში სამხრეთ რუსეთის მომხმარებელ საზოგადოებათა კოოპერატიული ამხანაგობა, რომელშიაც 700 საზოგადოება შედის, დამოუკიდებელ გამოსვლაზე წინააღმდეგია. კიევში არჩევნების დღეს ექსცესებისა ეშინიათ, საოლქო კომისია სამხედრო დაცვაზე შუამდგომლობს.

## ზავის გარშემო.

**ნაბოკოვის სიტყვა.**

**ედინბურგი.** ოქტომბრის 3. რუსეთის ინგლისელ დესპანს ედინბურგში საუზმე გაუმართეს, რომელზედაც ლორდმა პროვოსტმა, სხვათა შორის, სთქვა, რუსეთს პატივისცემით ვეპყრობით, რომ მსხვერპლს დაუზარებლად იღებსო. ამაზე ნაბოკოვმა უპასუხა: რუსეთს ეხლა თავდაპირველად ინგლისის მეგობრობა სჭირია; რუსეთმა ითამაშა უკვე თავისი როლი და კიდევაც ითამაშებსო. ნაბოკოვმა რუსეთ-ჰოლანდიის საზოგადოების კრებაზე სთქვა, რუსები სთხოვენ ინგლისს, იწამონ, რომ რუსის ხალხის გენიოსობა შესძლებს მოიშოროს პოლიტიკური მაჯლაჯუნაო. გლაზგოში ნაბოკოვმა თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ ინგლისის საწინააღმდეგო აგიტაცია, რომელსაც გერმანელები ეწევიან, რუსეთში ნიადაგს ვერ მოიპოვებს, რუსებს საამისო სადი გონება მოეპოვებათ, რუსის ხალხი შესძლებს დააფასოს ინგლისის ღვაწლი და სურვილი რუსეთის რესპუბლიკის გადარჩენისა და გერმანეთის მონობისაგან განთავისუფლებისა.

**ომის მიზნების გადაშინჯვა.**

**კოპენჰაგენი.** ოქტომბრის 4. „კორესპონდენტ ბიურო“ იტყობინება, რომ ცენტრალ სახელმწიფოების მიერ ზავის სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯები ასკვიტისა და ლოიდ ჯორჯის განცხადების შემდეგ გათავებულად უნდა ჩაითვალოს. საზავო წინადადების უარყოფის შემდეგ ცენტრალ სახელმწიფოებმა ომის მიზნები უნდა გადაშინჯონ.

**გერმანელი ს.-დემ. და ზავი.**

**კოპენჰაგენი.** ოქტ. 3. ვიურცბურგის ს.-დემ. ყრილობის თავმჯდომარემ თავის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა: ყველას სწყურია ზავი, მაგრამ ჩვენთვის აშკარაა, თუ რა ძნელია ზავისთვის სასარგებლოდ მუშაობის წარმოება, რადგანაც გერმანეთის ყოველი მოთხოვნა ხარჯების ანაზღაურების შესახებ მის წინააღმდეგ კოალიციას შეჰქმნის მუდამ. საჭიროა ბოლო მოეღოს დაჯავშნულ მუშტის პოლიტიკას.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**აღმოსავლეთის ფრონტი.**

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** ოქტ. 5. ოფიციალ. ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტები. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**მფრინავთა მოქმედება.** ოქტომრის 3. შუაღამისას ქალაქ პერნოვზე მტრის „ცეპელინ“-მა გადაიარა. ნასროლ ყუმბარებით 6 სახლია დანგრეული.

**კავკასიის ფრონტი.** არსებითი არა მომხდარა რა.

**მთავარ საზღვაო შტაბის ცნობა.**

**პეტროგრადი.** ოქტ. 5. უკანასკნელ დღე და ღამეში გერმანელებმა კუნძულ ეზელის დაპყრობა დაამთავრეს და ღამე ინზენის სრუტეში შემოიჭრნენ. ოქტომბრის 4 გათენებისას ჩვენ სადარაჯო საზღვაო რაზმს შეხვდა მტრის ფლოტის მოწინავე ძალები და მოონზუნდისაკენ დაახევინეს. აქედან რიგის ყურეში გამოვიდნენ ჩვენი ჯავშნიანი გემები: „გრაჟდანინი“, „სლავა“, კრეისერი „ბაიანი“ ნაღმოსნებით და მტრის ავანგარდი განდევნეს. მალე მტრის დიდი ფლოტი გამოჩნდა, რომელშიაც „გროსსენ კურფიურტ“-ის ტიპის 2 დრედნოუტი იყო. შორს მსროლელი ზარბაზნების შემწეობით გერმანელებმა ჩვენი გემები მძიმედ დააზიანეს და მოონზუნდისაკენ დაახევინეს. ჯავშნოსანი „სლავა“ ჩაიძირა, მეზღვაურნი გადარჩნენ. ჩვენი სანაპირო ბატარეები მტრის ნაღმოსნებს ჯერ ნებას არ აძლევდნენ ჩვენს გემებს მოახლოვებოდნენ, მაგრამ შემდეგ მტრის დრედნოუტებმა სულ მოკლე ხანში მიწასთან გაასწორა ეს ბატარეები. ჩვენი ფლოტის მეორე ნაწილი წინააღმდეგობას უწევდა მოონზუნდის ჩრდილოეთის მხრით მოწოლილ მტრის საზღვაო ძალებს. ამავე დროს აუარებელი მტრის მფრინავები დიდძალ ყუმბარებს უშენდენ ჩვენს გემებს და ჩვენ ხელში მყოფ კუნძ. მოონის ნავთსადგურებს. ჩვენმა მფრინავებმა ლეიტენანტმა საფონოვმა მტრის 1 აპარატი ჩამოაგდო. კუნძ. დაგოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილში გერმანელთა მიერ გადმოსხმული მცირე დესანტი სროლით განვდევნეთ. ამ ადგილს მალე „კაიზერის“ ტიპის დრედნოუტმა სასტიკი სროლა აუტეხა. ოზელსა და დაგოსთან მტრის დიდი გემები აღმოვაჩინეთ. ნაღმოსნები გარშემორტყმული. ამ მიდამოებში შენიშნულია მტრის 60 გემამდე.

**ბრძოლა ბალტიის ზღვაზე.**

**ვერდერევსკის აზრი.**

**პეტროგრადი.** ღვინობ. 5. საზღვაო მინისტრმა ვერდერევსკიმ ჟურნალისტებს უთხრა: ჩვენი ფლოტი მტრის ფლოტს შეეგება, ეს დიდი მამაცობაა, რადგანაც „კენიგ“-ის ტიპის თითო გემი მთელ ჩვენ საზღვაო რაზმზე ძლიერია. მოონზუნდში შემოსვლისთანავე გერმანელებმა მძიმე ზარბაზნების მკაცრი სროლა აუტეხეს მოონისა და ვერდერის ბატარეებს. დაზიანებული „სლავა“ ისე ღრმად ჩაჯდა წყალში, რომ თხელ სრუტეში ველარ გავიდა და ამიტომ ჩავღუპეთ, რითაც გერმანელებს გზა დაუკეტეთ.

**კაპიტანის ნათქვამი.**

**პეტროგრადი.** ღვინობ. 5. მთავარ საზღვაო შტაბის უფროსმა კაპიტანმა ჟურნალისტებს განუცხადა: გერმანელებმა კუნძული ოეზელი დღე და ღამის განმავლობაში დაიპყრეს. გერმანელებს აზრად ჰქონიათ ჯარი ოეზელიდან დაგოზე გადაეყვანათ. ალბად საერთოდ გერმანელების დესანტი დიდი არ არის. ეს გარემოება მტერს უადვილებდა მოქმედებას, რადგანაც მცირე დესანტს დიდი სამხედრო ძალები იცავდნენ. ამ შემთხვევაში ჩვენი საზღვაო რაზმები ვერას გააწყობდნენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მთავარი ფლოტი ფინის ყურს იცავდა. წყალქვეშები დიდი ყინვების გამო ვერ იმოქმედებდა. ამას გარდა მტრის გემებმა საგანგებო ბადეების საფარები გააკეთეს. მეზღვაურნი მედგრად იბრძოდნენ.

**ხიდები დვინაზე.**

**ბანაკი.** ღვინ. 3. გერმანელები ცდილობდნენ დვინაზე რკინის გზის ხიდის სამხრეთით ხიდები გაედოთ. გადებულ ხიდის ნაწილი ჩვენმა არტილერიამ გაანადგურა.

**ნახევარი კუნძული სვორდბე**

**ბანაკი.** ღვინ. 3. მცოდნე საზღვაო წრეებში ხმებია, რომ გერმანელები თავგამოდებით ცდილობენ კუნძულ ეზელის სამხრეთით მდებარე ნახევარ კუნძულ სვორდბეას დაპყრობას. აქ იმყოფებიან ცერელის ბატარეები და ირბენის სრუტეს იცავენ. საზღვაო ოპერაციებმა უნაყოფოდ ჩაიარეს. ახლა მტერმა შემოტევა ხმელეთზე დაიწყო. ნახევარ კუნძულის მეციხოვნენი დიდ წინააღმდეგობას უწევენ. მეციხოვნეთა მდგომარეობა სერიოზულია. მტერმა თუ მეციხოვნენი დასძლია, ცერელის ბატარეებს იგდებს ხელში და რიგის ყურის გზას წინ მხოლოდ ჩვენი ფრონტი და გადაელობება.

**დეპუტატთა საბჭოს სხდომა**

**პეტროგრადი.** ღვინ. 3. დღეს დეპუტატთა საბჭოს ცენტრალ კომიტეტმა ფარულ სხდომაზე ფრონტის მდგომარეობაზე ითათბირა. ილაპარაკეს აგრეთვე სამხედრო და საზღვაო მინისტრებმა, ადგილობრივ კომიტეტების წარმომადგენლებმა და ფრონტის კომისარებმა.

## უკანასკნელი დეპეშები.

პეტროგრადში მიღებული ცნობების მიხედვით უმეტეს ადგილს დამფუძნებელი კრების არჩევნები თავის დროზე მოხდება. ზოგან კი დანიშნულ ვადაზე ტეხნიკური მიზეზების გამო არჩევნები ვერ მოხდება.

პეტროგრადში ჩამოვიდა ახლად დანიშნული ბელგიის ელჩი დესტრე.

—

საზღვაო მინისტრი ფლოტის დასამთავრიელებლად გამგზავრა.

—

პეტროვსკში ბრბომ ტუსაღები გაანთავისუფლა ციხიდან.

—

განათლების სამინისტროში გადაწყდა სახალხო შკოლის მასწავლებლებს 100 მანეთი დაენიშნოსთ.

—

კოოპერატიულმა ყრილობამ მოსკოვში დაადგინა დამფუძნებელ კრებისთვის ცალკე ერთეულათ გამოვიდენ.

—

„ვეჩერნეე ვრემია“ სწერს: თუ გერმანელები დესანტს რიგის ყურის სანაპიროებზე გადმოსხავენ, უპირველეს ყოვლისა რეველზე გამოილაშქრებენო, ხოლო თუ რიგის ყურის სანაპიროებზე მათ გამაგრება შესძლეს, მაშინ საზღვაო ოპერაციით პეტროგრადისკენ გაემართებიან.

—

ჰელსინგფორსიდან დაბრუნებულ, იურიდიულ კომისიის წევრს ბარონ ნოლდეს განუცხადებია: ძნელი იქნება შეთანხმება ფინლიანდიასა და რუსეთის შორის მომხდარ უთანხმოებათა ჰააგის ტრიბუნალით განხილვაზე და მშვიდობიანობის დროს რუსის ჯარის ფინლიანდიაში ყოფნაზე.

—

პარიზის კონფერენციაზე განიხილავენ ომის მიზეზებსა და ზავის პირობებს და მოკავშირეთა შორის დადებულ ხელშეკრულობებს გადასინჯავენ.

—

თუ ბალტიის ზღვაზე მდგომარეობა გამწვავდა მთავრობა და რესპუბლიკის საბჭო მოსკოვში გადავა.

—

გლეხთა საბჭომ დეპუტატთა საბჭოების ყრილობის მოწვევა უდროვოდ სცნო.

—

ადმირალმა ნემიტცმა განაცხადა, რომ რიგის აღება და კუნძულ ეზელზე დესანტის გადმოსხმა პეტროგრადის წინააღმდეგ არის მიმართულიო. მისი აზრით მოსალოდნელია რეველის აღება და გამოლაშქრება ნარვაზე, საიდანაც პეტროგრადამდე 3 დღის სავალია.

—

ხარკოვში ჯარისკაცებმა ებრაელ ცხედარის პროცესია შეაჩერეს და კუბოს ახდა მოითხოვეს. ჯარისკაცებს ეგონათ, რომ კუბოში ფეხსაცმელი იყო, მაგრამ დაინახეს თუ არა ცხედარი მაშინვე დაიშალნენ.

—

ომსკში საალყო წესები გამოცხადდა ღამის 10 საათიდან დილის 5 საათამდე ქუჩაში არავის უშვებენ.

—

რიაზანის გუბერნიაში არეულობა არის, საგუბერნიო კომისარი დაჭრილია.

## ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

**ვაჭარ-მრეწველთა ყრილობა.** ვაჭარმრეწველთა ყრილობაზე, რომელიც იმართება 15 ოქტომბერს ქ. თბილისში, მოწვეულნი არიან ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა წარმომადგენლებიც.

✦ **სახალხო მასწავლებლების ჯამაგირების მომატება.** განათლების სამინისტრომ დაადგინა სახალხო სკოლების მასწავლებლებს მოუმატონ ჯამაგირები 100 მანეთამდის.

✦ **ხორცი.** როგორც გადმოგვცეს, ყასბები ჭირით დახოცილ საქონელს მიწიდან იღებენ და მუშტარზე ასაღებენ. თუ ეს მართალია საკვირველია, ბეითლები რად არ აქცევენ ამ გარემოებას ყურადღებას.

✦ **ქუთაისის დარბევის გამო.** ქუთაისის ამბების გამო მსჯელობა იქონიეს პოლკების კომიტეტის წარმომადგენლებმა და შემდეგი რეზოლუციები გამოიტანეს 1) დაიკეტოს ღვინის სავაჭროები, 2) შესდგეს სისხლის სამართლის კომისია 3) მიეცეს როგორც მოქალაქეების ისე ჯარის კაცებსაც მოწმობები, რომ ქალაქში სიარული შეეძლოთ 4) საღამოს შვიდი საათის შემდეგ უნებართვოთ არავის ნება არ ექნეს ქალაქში გამოსვლისა. ამისთვის დაარსდეს განსაკუთრებული კომისია.

✦ **ქალაქის სასურსათო კომიტეტი** გადავიდა ახალ ბინაზე, სადაც ძველად მოთავსებული იყო საადგილ-მამულო ბანკი.

✦ **საგამომძიებლო კომისია.** მუშათა და ჯარის კაცთაგან შემდგარმა საგამომძიებლო კომისიამ დააპატიმრა რამდენიმე პირი, რომელნიც ბრბოას აქეზებდა სავაჭროების დასამტვრევათ. 6 ოქტომბერს ამ კომისიამ სხვადასხვა ადგილებში აღმოაჩინა დიდძალი გატაცებული საქონელი.

✦ **სასურსათო კომიტეტის შტატის რეორგანიზაცია.** განზრახულია ამ დღეებში ქალაქის სასურსათო კომიტეტი გადაკეთდეს სასურსათო სამართველოდ. ამის გამო მოხდება მთელი შტატის რეორგანიზაცია და მოსამსახურეთა რიცხვის მომატება.

✦ **პურის ფქვილი.** გუშინ გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა ქ. ფოთიდან მიიღო 2 ვაგონი პურის ფქვილი. რომელიც გადაეცემა ქალაქის სასურსათო კომიტეტს.

✦ **კარტაშოვის დეპეშა.** სარწმუნოების მინისტრმა აცნობა საქართველოს პატრიარქ-კათალიკოს კირიონს, რომ თუ 20 ოქტომბრამდე რწმუნებულებს არ გაგზავნის პეტრეს ქალაქში გამგიჯვნელ კომისიაში მონაწილეობის მისაღებათ, იმ შემთხვევაში კომისია უთქვენოთ შეუდგება საქმესო. საკათალიკოსოს საბჭომ დაადგინა არ გაგზავნოს წარმომადგენლები.

✦ **პანაშვიდი.** დღეს წმ. გიორგის სასაფლაოს ეკლესიაზე ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაცია გადაიხდის პანაშვიდს ამავე სასწავლებლის ყოფილ მასწავლებლის **ელენე ხელთოფლიშვილის** სულის მოსახსენებლათ.

✦ **მუშათა დაკმაყოფილება.** გაფიცული იყვნენ ტყიბულის მაღაროების მუშები. მაღაროების გამგეობამ მუშათა მოთხოვნილება მიიღო და გაფიცვა დასრულდა.

✦ **თეატრი.** ქართული დრამატიული დასი წარმოსადგენათ ამზადებს შემდეგ პიესებს „ივერიის ოჯახს“, „ბედნიერი დღე“-ს და „გამარჯვებულნი“-ს.

✦ **ყოფილი მილიციის უფროსი** აღენტი, რომელიც ქუთაისის დარბევის დროს დაშავდა, თავს კარგათ გრძნობს, საავადმყოფოდან უკვე გამოეწერა. როგორც ექიმები ამბობენ, მას ოპერაცია არ დასჭირდება.

✦ **დამფუძნებელი კრებისათვის.** დამფუძნებელი კრების მომწყობმა საგუბერნიო კომიტეტმა ინსტრუქტორები პროვინციებში სიების შესამოწმებლათ უკვე გაგზავნა. სიები 12 ოქტომბერს შემოწმებული უნდა იქნეს.

✦ **ქალაქის საბჭო.** დღეს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდება ქალაქის საბჭოს სხდომა.

✦ **ვაჭრობის განახლება.** ვაჭრობა ქუთაისში უკვე განახლდა. ზოგმა ვაჭარმა მაღაზიებს შეკეთება დაუწყო.

✦ **ზარალის ანაზღაურება.** სპარსეთის ქვეშევრდომმა ხასან ალი მამედ ოღლიმ ქალაქის თვითმართველობაში შუამდგომლობა აღძრა რომ, აღუდგინონ მას ზარალი, რომელიც მიაყენეს ქუთაისის დარბევის დროს. მას საწვრიმალო სავაჭრო ჰქონია პუშკინის ქუჩაზე და სულ უნახავს. 1883 მანეთის ზარალი.

✦ **სწავლის განახლება.** ქუთაისში 5 ოქტომბრიდან სწავლა ყველა სასწავლებლებში განახლდა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ყაზახთა წარმომადგენლები.**

ყაზახთა კავშირის საბჭომ დრ. მმართველობას მოსთხოვა, რომ მათთვის წინასწარ პარლამენტში დაეთმოთ 30 ადგილი. ამაზე საბჭოს უარი უთხრეს და მათ (ყაზახებს) წინასწარ პარლამენტში დაუთმეს 22 ადგილი.

**ებრაელები.**

კერენსკის ებრაელებმა სთხოვეს, რომ მათ წინასწარ პარლამენტში წარმომადგენლები ჰყავდეს, როგორც ერს და არა როგორც ცალკე კლასს.

**ხმები.**

ხმა დადის რომ გენ ალექსეევმა მოკავშირეთა კონფერენციაზე დასწრების შესახებ უარი განაცხადა.

**ებრაელთა აწიოკება და დევნა.**

რუსეთის შიდა გუბერნიებში სისტემატიურათ სწარმოებს ებრაელთა დევნა

და აწიოკება. ხარკოვში ჯარი ებრაელებს არბევს. სოფლებშიც გავრცელდა ებრაელთადმი სიძულვილი, და მათ იკლებენ. ებრაელებს გადაწყვეტილი აქვთ განსაკუთრებული მოხსენებით მიმართონ დრ. მმართველობას.

**პოგრომები**

რუსული გაზეთები შეშფოთებული არიან შიდა გუბერნიებში დაწყებულ პოგრომებისა გამო. „რუს. ვოლია“ სწერს: დადგა საშინელი ხანა, პეტრეს ქალაქი წყნარათ არის, მაგრამ ამ დროს წყალი აიმღვრა პროვინციაში. სოფლები და ქალაქები ანარქიის ალშია გახვეული, ირღვევა მეურნეობა. წიოკდება ქვეყანა: ხალხი გამხეცებულია და ცეცხლს აძლევს ყველაფერს. „ედინსტვო“ ამბობს: ებრაელთა წინააღმდეგ გალაშქრება ხალხის რეაქციულათ განწყობას ნიშნავს რაც საფრთხეში აგდებს რევოლუციას.

**წარმოების კრიზისი.**

„სავაჭრო სამრეწველო გაზეთი“ ციფრებით ამტკიცებს, თუ რა უნუგეშო მდგომარეობაშია ამჟამათ რუსეთის წარმოება. გაზეთი ამბობს, რომ სულ მოკლე ხანში სრულიად შეჩერდება წარმოება. დიდმნიშვნელობის დონეცის ბასეინის წარმოება დღეს ლიკვიდაციის წინ სდგას, რის გამოც რკინის გზებს და, სამხედრო სამრეწველო კომიტეტებს სრული კატასტროფა მოელით.

**ფინეთის შესახებ.**

დრ. მმართველობა უნდობლათ უყურებს ფინეთის სეიმს და მოწადინებულია, რომ იგი ეხლავ გარეკოს. მეუმრავლესენი დრ. მმართველობას უსაყვედურებენ „ბოროტათ ნუ ერევი ფინეთის ცხოვრებაში, რომელსაც შენი არაფერი სურსო.

**რკინის გზის გაფიცვა.**

დრ. მთავრობამ პრინციპიალათ მიიღო რკინის გზის მოსამსახურეთა მოთხოვნილება, მაგრამ ყველა რკინის გზაზე გაფიცვა ჯერ არ შეუწყვეტიათ.

**ქაღალდის ფული.**

დრ. მმართველობის ფინანსთა სამინისტრომ საჭიროთ დაინახა, გამოსცეს ქაღალდის ფულის ნიშნები, რომელიც ასი მანეთიანის და სხვა ქაღალდის ფულის. მაგვრობას გასწევენ.

## გურიის ქრონიკა.

სტველი გურიაში უკვე დაიწყო. ტკბილი და წყნარი ამინდები ყანების აღებას ხელს უწყობს. მოსავალი საერთოთ არც ისე გულგასატეხია როგორც უწინ გვეგონა. „მადლობა ღმერთს, არც ამას მოველოდი, კიდევ ვაი, რომ თლა ხელ-ცარიელი არ დამტიაო“ --გიპასუხებს გურული გლეხი შეკითხვაზე.

— ძველი სიმინდი ფუთი 8, 9, 10 მ. ფასობს და იმასაც ვერ შოულობენ, რადგანაც საქონლის ჭირის გამო ხარები ადგილობრივ სოფლებიდან არ გადაყავ-გადმოყავდათ. სიმინდი შემოაქვთ ცხენებით ჩალანდრებს, მაგრამ საკმაოდ კიარა. ამიტომ უკვე ბევრ ადგილას შეუდგენ ეხლავე ახალი სიმინდის ხმობას, რომელმაც გაჭირვებით, ოჯახს ორი-სამი თვე სული გაატანინოს იქნება.

— თხილის მყიდველებმა, რომლებმაც წინათ ძალიან დაკლებულ ფასებში ჩაიგდეს ხელში თხილი, 23 მან-მდი შეუვსეს ფუთზე, თუმცა ფული ჯერ არ დაურიგებიათ.

— ჩოხატაურის კომიტეტმა სურების ტყის გაჭრის ნება არ დართო, რადგანაც სცნა თუ, კულტურის მხრივ რა დიდი ზიანი მოაქვს ტყის გაჩეხას. ეხლა კი ხელმეორეთ მოსვლიათ ბრძანება საგუბერნიო კომისარისაგან, რომ არამც და არამც ხელი არ შეუშალონ ტყის მყიდველს. ადგილობრივ კომიტეტის ზოგიერთ წევრებს ეუცნაურებათ ხსენებულ მოწერილობის შინაარსი:

რაც შეეხება ტყის გაჭრას მთლიანათ, მართლაც რომ დიდ ზიანს მოუტანს გურიას. სხვაც რომ არ იყოს რა, მთელი დიდი მდინარეების სათავანი სურების ტყიდან იწყება.

კათოლიკოზის არჩევას გურიაში ბევრ სოფელში აღფრთოვანებით, შეგნებულათ შეხვდენ, ბევრგან კი მეტათ ალმაცერათ და შეუგნებლათ. ზოგიერთი ვაჟბატონების ჩაგონებით გლეხებს გონიათ კათალიკოზის არჩევა მხოლოთ ზედმეტ ხარჯებს გამოიწვევს, კისერზე დააწვება მათ და სხვა მეტი მნიშვნელობა, ვითომდა, არაფერი ქონდეს.

სოფლის სასწავლებლებში სწავლა პირველ ოქტომბრიდან დაიწყო. ბევრ სოფელში რადგანაც ადგილმა აღარ იკმარა ახალ მისაღებ მოწაფეთათვის, ახალი სკოლები გახსნეს, ზოგან კი მასწავლებელთა შტატს ადიდებენ. **ტ.**

## გავლით ზესტაფონ-მარელისში

ომიანობის და მასზედ დართულ რევოლიუციის დიადმა ქარიშხალმა დიდათ არივ-დარია ყოველივე და მასთან ერთათ სანთლის ცვილის მოპოვების საქმეც დიდათ გაართულა და თანაც საარაკოთ გააძვირა. ტყუილათ კი არ ვეჩიჩინ-ვემუდარებოდი იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებას, რომ დროა მეფუტკრეობას მოვჰკიდოთ ხელი, გავიჩინოთ ჩვენთვის ფუტკარი და გაუჩინოთ ჩვენს სამრევლოებსაც, ვისარგებლოთ ჩვენც და ვასარგებლოთ მათაც და თანაც საკმარისი ცვილის მიწოდებით ჩვენი საეპარქიო სანთლის ქარხანა საწყობი და ეკკლესიები ვიხსნათ მოსალოდნელი ზარალისაგან მეთქი?!. მაგრამ ღაღადისი ჩემი დარჩა ხმად ღაღადებისად უდაბნოსა შინა, ჩვენდა სამწუხაროთ!..

სწორეთ ცვილის შეძენის მიზნით ზექარიდან დაბრუნებისათანავე გავეშურე სოფ. მარელისისაკენ რკინ. გზით. აქ ვეწვიე ფრიად გამოცდილ მეფუტკრეს, შორაპნის მაზრის სახაზინო ტყეების უფროს ბ. ივანე რაფიელისძე მაისურაძეს, რომელსაც მხოლოდ მიწერ-მოწერით თუ ვიცნობდი, თორემ პირადათ არა.

ჩემდა საბედნიეროთ ივანე შინ დამხვდა. გადავეცი ჩემი მისვლის მიზანი და თანაც სანთლის ცვილის შეძენაში დახმარება ვსთხოვე, რაიცა დიდის სიამოვნებით აღმითქვა, მხოლოდ მომავალ თვეებისათვის, ვინაიდან ამ ჟამათ სოფლად ახალი თაფლი და სანთელი ამოღებული არ არისო. მანვე მაჩვენა თავისი მეფუტკრეობის კაბინეტი, თავისივე ხელით გაკეთებული მეფუტკრეობის იარაღი და მრავალ ნაირი სახელმძღვანელოები. გვაჩვენა თავისავე ხელით დამზადებული ხელოვნური ფიჭა და სხვადასხვა ხარისხის თაფლი, ამ ფრიად პატივცემულ მუშაკს მრავალ სოფლებში გაუვრცელებია დადანის და ლაიანსის სისტემის მეფუტკრეობის წარმოება და ამნაირათ მრავალი სასულიერო თუ საერო პირებისათვის გაუჩენია არსებობის წყარო, საიცა ერთ დიდ მადლათ უნდა ჩაეთვალოს. მაგალითად მისგან აქვს შესწავლილი მეფუტკრეობა მღვდელთ ალექსანდრე და ვლადიმერ ბრეგაძეებს, ალექსანდრე შარიქაძეს, ჩხეიძეს და მრავალს სხვებს.

ბატ. ივანესვე მოვახსენე, რომ მე განძრახვა მაქვს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლებში მეფუტკრეობის კურსების მოწყობით საძრიკველი ჩაუყარო იმერეთის ეპარქიაში მეფუტკრეობის გავრცელებასა მექი, რასაც იგი დიდის სიხარულით შეეგება.

მასთანვე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი მეფუტკრეობის სახელმძღვანელოების შესახებ.- აპოლონ წულაძის მეფუტკრეობის წიგნი თუმცა დიდათ მოსაწონიაო, მაგრამ ახალი შემსწავლელისათვის ნაკლებად გამოდგებაო.- ბრძანა. ამისათვის ამ წიგნს ჩვენ უნდა წარუძღვანოთ სულ მოკლე კატეხიზის სებური ადვილათ გასაგები წიგნაკიო. ჩემს შეკითხვაზედ, თუ თითონ რატომ არ ნებულობს ამნაირი წიგნაკის შედგენას, ბრძანა, რომ მე კარგა ხანია ვაპირობდი მაგის შესრულებას, რისთვისაც 10-12 წლის განმამავლობაში საჭირო ტერმინებს ვაგროვებდი, შეგროვებითაც შევაგროვე, მაგრამ 19 05 წელში ბოროტ განძრახველება ჩემი ნაამაგარი საფუტკრე, ოჯახის ავლადიდება და მასთან დაგროვილი მასალაც სულერთიან მომისპეს და ცეცხლსა და წყალს მისცესო? მანვე დამავალა ქუთაისიდგან ვაწვიო საფუტკრის დასამთვარიელებლათ სასულიერო, როგორც სავაჟო, ისე საქალებო სასწავლებელთა უფროსები, თანაც ზემო ხსენებულ სასწავლებლებთან გაზრახულ საფუტკრეების მოწყობაში დიდი დახმარება აღმოითქვა. ვნახოთ როგორ ვისარგებლებთ ამნაირი კეთილი შემთხვევებით.

მოლითს და მარელისში აგენტურას მოწყობის შემდეგ წავედი სანთლის ცვილის საყიდლათ. თუ ვიშოვიდი მაგრამ ამ ჟამადვერც აქ ვიშოვე რამე. აქ ვინახულე სოფ. ძირულაში მოვაჭრე პატივცემული ერმოლოზ ებანოიძე. მათ დავავალე აგენტობა სანთლის ცვილის მოპოვებაში, რაშიდაც დიდათ დამაიმედა.

და თუმცა 10-12 დღის დღე და ღამ მოგზაურობით მეტად დაღალულ-დაქანცული ვიყავი, მაგრამ აქიდგანვე გავსწიე საჩხერე-ჭიათურის მხრისკენ. რომ აქაურ კოოპერატივთა ხელმძღვანელობით სამთლის მყიდველთა აგენტურა მომეწყო, რაცა ჩემდა სასურველი მოეწყო.

**მღვდ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.**

## ქართველთა სამხედრო კავშირის შესახებ

**ბათომში,**

ბათომის სამხედრო კავშირის არსებობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ბათომის ეროვნულ-დემოკრატთა ბიუროს, რომელმაც დაუთმო დროებით ამ უპარტიო დაწესებულებას თავისი ბინა და ასესხა 1000 მან. უნდა აღვნიშნო, რომ დიდი ღვაწლი მიუძღვის სამხედრო კავშირის წინაშე ექიმ კაპიტან მეუნარგიას, რომელიც ყოველ ძალას ხმარობს, რომ კავშირის საქმე წინ წავიდეს.

28 სექტემბერს შესდგა კავშირის საერთო კრება, რომელმაც აირჩია კავშირის კომიტეტი. კომიტეტში შედის: 12 ჯარის-კაცი, 11 აფიცერი, 8 ექიმი და სამხედრო ,,ჩინოვნიკი“. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს ექიმი მეუნარგია, მის ამხანაგებად ჯარისკაცები ანჯაფარიძე და გოდაბრელიძე, მდივნად პარმაცევტი სულაბერიძე, ხაზინადრად პრაპორშჩიკი აფაქიძე, ჯარისკაცთა ჩასაწერად ჯარისკაცი გიგო ნიჟარაძე და მაღალაშვილი.

კომიტეტმა დაადგინა გაგზავნოს ქუთაისის სამხედრო კავშირთან მოსალაპარაკებლად ჯარისკაცი გიგო ნიჟარაძე, თბილისში პოდპორუჩიკი ხუმარაძე და ბათომის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსთან მოსალაპარაკებლად ექიმი მეუნარგია, პრ. ბრეგვაძე, ჯ. კ. გოდაბრელიძე და ნიჟარაძე, მაგრამ ვინაიდგან გ. ნიჟარაძე ქუთაისს წავიდა, მის მაგიერ აირჩიეს ჯ. კ. ბოლქვაძე.

კავშირის კრებაზე პრ. ბოლქვაძემ მადლობა გადაუხადა დროებით პრეზიდიუმს. განსაკუთრებით კი ექიმ მეუნარგიას, და უსურვა ახალ კომიტეტს ენერგიული მუშაობა. ჯ. კ. გიგო ნიჟარაძემ აუხსნა დამსწრეთ, თუ რა პირობებში უხდებოდა მუშაობა ქუთაისის სამხედრო კავშირს და როგორ წინააღმდეგობას უწევდა მას ზოგიერთი დაწესებულება. ორატორმა მოიგონა სიმკაცრე ძველი წესწყობილებისა, როცა მძიმედ იტანჯებოდა რუსულის უცოდინარი ქართველი ჯარისკაცი, და მოუწოდა ყველას, უფრო მჭიდროდ შემოკრებილიყვნენ ქართველთა სამხედრო კავშირის გარშემო, ორივე ორატორი ამხანაგებმა ხანგრძლივი ტაშისცემით დააჯილდოვეს.

ვუსურვებ ხანგრძლივსა და ნაყოფიერ მუშაობას ამ დიდებულ დაწესებულებას;

**დამსწრე არა მხედარი.**

## ღია წერილი.

**მუხურის აღმასრულებელ კომიტეტს.**

მუხურის აღმასრულებელ კომიტეტის ყველა წევრს ვინმე „მუხურელმა“ თავის წერილით, რომელიც მან მოათავსა, ხალხის მეგობრის“ ფურცლებზე 5 ოქტომბერს, ჩირქი მოსცხო. „მუხურელი“ თავის წერილში ააშკარავებს ისეთ მოქმედებებს აღმასრულებელი კომიტეტისას, რომელსაც საზოგადოება ვერაფერ შემთხვევაში მათ ვერ აპატიებს. და მე, როგორც ერთი გულშემატკივარი ამ სოფლისა გამოვეხმაურე ამ ფაქტს და მინდა სინამდვილით დავრწმუნდე ყოველივე იმაში რაც „მუხურელმა“ საზოგადოებას შეატყობინა. მართლა ცალმხრივობა გამოიჩინა აღმასრულებელმა კომიტეტმა გლეხის გასამართლების დროს? თუ ეს ესეა, უნდა ახსოვდეს, რომ ეს რევოლუციურ დაწესებულებას არ შეეფერება. მართლა ჩარჩობა და გლეხების ძარცვა-გლეჯა დაიწყო აღმასრულებელ კომიტეტის წევრებმა? ეჭვი მებადება იმის სინამდვილეში არა იმიტომ, რომ ისინი ამას არ მოიმოქმედებდენ, არამედ იმიტომ, რომ, თუ მართლა ჩაიდინეს, რატომ რაცხს სოფელი მათ თავის ბატონ პატრონათ? ისეთი გარემოება, როგორიც არის კოოპერატივებისათვის ჩილის 20 მანეთათ გადაცემა და სოფლელებისაგან 16 მან. ყიდვა დიდ ბრალს სდებს ამ „ჩარჩებს“, რომლის სახელით ისინი ,,მუხურელმა'' მონათლა. და ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელებმა ეროვგარი „ბლოკი“ შეკრეს ებრაელ ჩარჩებთან სრულიათ ანადგურებს მათ პიროვნებას (თუ ეს მართალია). ადვილი შესაძლებელია მუხურის აღმასრულებელი კომიტეტი იმით ხელმძღვანელობს, როცა ასეთ მოქმედებებს სჩადის, რომ მას არავინ ანგარიშის გამწევი არ ყავდესო., მაგრამ, თუ ამას ფიქრობენ, ძლიერ სცდებიან, რადგან მუხურას ბევრი ყავს ისეთი წევრი, რომელიც სოფლის გაჭირვების თავიდან ასაცდენათ თავს დასდებდა, თუ დღეს მი'ი სვე-ბედი მუხურელებმა აღმასრულებელ კომიტეტის დღევანდელ შემადგენლობას ჩაუგდეს ხელში, ეს მხოლოთ იმ მოსაზრებით, რომ ბევრი ყავს ამ კომიტეტის გარეშე აქტიური ანგარიშის გამწევი პირი.

პირადათ ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, თუ ისეთი ცოტათ თუ ბევრათ დაწინაურებული პირი, როგორიც არის ივ. აბ-ძე, ჯერ როგორც სახალხო მასწავლებელი, მერე როგორც ს-რევოლუციონერი გლეხის ბატონ პატრონი (?), ამას მოიმოქმედებდაა. მე ეს პირი ყოველთვის მიმაჩნდა ამ სოფელში ისეთ ადამიანათ, რომელსაც სრულიათ ვენდობოდი, და იმედი მქონდა, რომ უკიდურესობას და ცალმხრივობას არასდროს არ გამოიჩენდა. დღეს ეს ჩემი რწმენა და იმედები ირყევა „მუხურელის“ წერილის გამო და იმედს ისევ ივლ. აბ-ძისგან მოველი და მრწამს, რომ ის ამ შემთხვევაში თავს გაიმართლებს და საზოგადოებას თავის უდანაშაულობას განუმარტავს.

ამასთანავე ერთათ საჭიროთ მიმაჩნია, რომ მუხურის აღმასრულებელმა კომიტეტმა გვამცნოს თავის შეხედულება „მუხურელის“ წერილზე, და, თუ აღმ. კომიტეტმა თავი ვერ იმართლა, მე პირველი ეჭვს შევიტან მათ მოქმედების სისპეტაკეში და ზნეობრივი მოვალეობა იქნება აღმ. კომიტეტისა, რომ დაუყონებლივ გადადგეს. თუ ბრალდება შეეხება მხოლოთ რამოდენიმე წევრს და არა მთელ კომიტეტს, მაშინ კომიტეტის კრებამ უნდა გვაჩვენოს, ვინ არის ეს ბრალდებული და როგორ გაუმასპინძლდა აღმასრულებელი კომიტეტი მას.

დაკმაყოფილების მოლოდინში:

**ბიკენტი აბესაძე.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ. რედაქტორო!**

გაზეთი „ერთობის“ მე-134 ნომერში მოთავსებული იყო ს. კაცხიდან წერილი „ჯიკვათირელის“ ფსევდონიმით რომელშიც მე ბრალს მდებდა, ვითომც „საწყალ გლეხს“ მ. ბუჭუხიშვილს დავქადნებოდე, თუ ნახევარი მოსავლის ნაწილი არ მომეცი ჩემი ადგილიდან, თოფს გესვრიო და სხვა!... ეს სრულებით სიმართლეს მოკლებულია და უსინდისო ჭორი და ცილისწამება არის! მაშინ, როდესაც სხვამ ყველამ მოსავლის ნახევარი ნაწილი აიღო თავის ადგილებიდან, მე მხოლოდ მესამედი მომცა ხსენებულმა ბუჭუხიშვილმა! დანარჩენმა მუშებმა მთლად წაიღეს ჩემი ადგილებიდან მოსავალი და სრულებით არაფერი მოუციათ ჩემთვის. ცხადია, რომ შეშინებოდა „საწყალ გლეხს“ ბუჭუხიშვილს, მაშინ ნახევარ ნაწილს მომცემდა და სხვებიც მთლად მოსავალს არ წამართმევდენ. ეს სამი წელიწადია ამისთანა ჭორები იწერება ხანგაშვებ ჩემზედ გაზეთებში. ეს მის შემდეგ, რაც კაცხის ორ კლასიან სასწავლებლის გამგეს ბ. ღვინაძის საქმენი სამირონი გამოვაშკარავდა და რის შემდეგ მე მასთან სამუდამოთ შევსწყვიტე ყოველი დამოკიდებულება დანაცნობობა! ბ. ღვინაძე და მისი თანამოაზრენი-დამქაშები ამგვარ ჭორებს ავრცელებენ ხალხში, რომ მით ჩირქი მოსდონ ჩემს სახელს, მაგრამ ნათქვამია: ,,ტყუილს მოკლე ფეხი აბიაო'' და მით ვერ მიაღწევენ თავის ბინძურ მიზანს! ხალხს საკმაოდ დაფასებული აქვს მათი მრავალი საგმირო საქმენი და ჩემი ხანგრძლივი მოღვაწეობაც საზოგადოებაში! დაე სწერონ ბ. ღვინაძემ და მისმა დამქაშებმა, რაცა სურთ, მხოლოდ ის სიმპატიანდობა, რომელს მე კაცხის საზოგადოება მიცხადებს ყოველ მხრივ, უფრო ნათელს ყოფს ჩემ პიროვნებას, ვიდრე მოცლილი ,,საწყალი'' ხალხის მოამაგე კორესპონდენტები.

**დავით ლეონიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია**

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |


## ექიმები

**ა. მ. ახათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**ნიკოლოზ საბაევის** ბაღში ბათუმის მახლობლათ ისყიდება საუკეთესო ხარისხის ერთ წლოვანი და სამნახევარ წლოვანი

# მანდარინის ნერგები.

რომელიც ამა შემოდგომაზე დარგული უკანასკნელი მომავალი წლისთვის მისცემს ნაყოფს. აქვე ისყიდება **ლიმონის** და **ფორთოხლის** ნერგებიც. მისამართი: ბათუმში საბაევის მაღაზიაში.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

**სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო გაზეთ**

# „ხმა ქართველი ქალისა“-ზე

გაზეთი გამოდის ყოველ კვირაში ხუთშაბათობით **კატო მიქელაძის რედაქტორობით.** წლის დამლევამდე (პირველ იანვრამდე) გაზეთი ღირს 3 მ. თვეში 1 მ. ხელის მოწერა მიიღება: „ძმობის“ სტამბაში ქ. ქუთაისი, პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვისა. ანნა ლადუასთან ბალახვანის ქ. № 6. ჭიათურაში: ანნა წუწუნავასთან, ხონში: ლუბა პეტრეს ასული სანოძესთან, თბილისში: ეკატერინე გრიგოლის ასული მესხთან Красногорская № 31, ოზურგეთში: საფო მგელაძესთან, და მოსე თალაკვაძის წიგნის მაღაზიაში, ფოთში: ლუდმილა ქავთარაძესთან, ახალ სენაკში მასწავლებელ სოფიო არჩაიასთან, ძველ სენაკში ელენე ჩხეტიასთან, სამტრედიაში აგაშა სტურუასთან და ნოე კალანდაძესთან, კულაშში: მასწავლებელ ელისაბედ ლოლობერიძესთან.

**მისამართი:** ქ. ქუთაისი „ძმობის“ სტამბა, პუშკინის ქუჩა. კატო მიქელაძე.


სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელის სახლი, ქუთაისში